ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2197313

ნომერი: AR1341546

თარიღი : 14.09.2015

გაცემის თარიღი : 18.09.2015

გაცნობის თარიღი : 20.09.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაზისუბანი , ნაკვეთი 05/010 / ქალაქი თბილისი , ვაზისუბნის Iკვ.კორპ.N3-ის მიმდ. / ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი III , კვარტალი I , კორპ N3-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი III , კვარტალი I , კორპ. N2-ის მიმდებარედ ნაკვ.05/007;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა აღლემაშვილი პ/ნ 47001009393
- ვაზისუბანი 3 მ/რ, 1 კვ, 2 კორპ ბინა #119

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის განხილვის შედეგად გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილება, თუმცა შესაბამისი თანხმობის მისარებად საწიროა გაითვალისწინოთ:

– მიწის ნაკვეთი მდებარეობს სარეკრეაციო ზონა2 (რზ-2)-ში, სადაც კ1-0.2, ვინაიდან არსებული მდგომარეობით კ1 უკვე გადაჭარბებულია, აღნიშნული საჭიროებს სპეციალურ ზონალურ ნებართვას კოეფიციენტის მომატებასთან დაკავშირებით. რის გამოც აღნიშნული საკითხი, თქვენს მიერ გატანილი უნდა იქნას ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიაზე კ1 კოეფიციენტის მომატებასთან დაკავშირებით, რომლის მომატების შემდგომ საჭიროა გაითვალისწინოთ : გაურკვეველია თქვენი (მოქ. კობა აღლემაშვილის) უფლებამოსილება. გაითვალისწინეთ, რომ არქიტექტურის სამსახურს განმცხადებლის/თანაგანმცხადებლის სახით უნდა მომართოს შ.პ.ს. "კონა4" ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა (მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ატვირთვით) ან მისი მინდობილობა ატვირთული უნდა იყოს "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულების" ველში, იმ შემთხვევაში კი თუ თქვენ მოისაზრებით როგორც უფლებამოსილის პირი, ასეთ შემთხვევაში დამატებით წარმოდგენილი უნდა იყოს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.